

საკრედიტო ხელშეკრულების თავსართი

#-----/----- საკრედიტო ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

საკრედიტო ხელშეკრულება #-----/-----

რრ/თთ/წწ წ.

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი

- კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი - ფიქსირებული
- კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი = ----%
- კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი = ---%

ფინანსური ხარჯები

- ყოველთვიური შენატანები (ძირითადი თანხა+პროცენტი) = თანდართული გრაფიკის მიხედვით
- ვადის ბოლოს შენატანი = ----ლარი
- კრედიტის გაცემის საკომისიო = კრედიტის თანხის --% კერძოდ ----- ლარი
- ინფორმაციის გაცემის/დამუშავების საკომისიო = ---- ლარი
- ადმინისტრაციული ორგანოს მომსახურებისათვის დაწესებული საფასური ---- ლარი
- სესხის თანხის მსესხებლის საბანკო ანგარიშიდან განაღდების შემთხვევაში საბანკო დაწესებულების საკომისიოს საბაზრო ღირებულება - სესხის თანხის -----%

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

- კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა = -----ლარი
- მსესხებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა = -----ლარი
- კრედიტის ვადა = -----
- საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა = -----
- კრედიტის წინასწარ დაფარვის საკომისიო იანგარიშება გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის და ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად და შეადგენს, თუ საკრედიტო ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია:

12-დან 24 თვემდე 1%;

6-დან 12 თვემდე 0.5%;

0-დან 6 თვემდე 0%;

- ვადაგადაცილების ჯარიმა = ვადაგადაცილებული/გადასხდელი ძირითადი თანხის ----% და ვადაგადაცილებული საპროცენტო სარგებლის ----% ყველა ვადაგადაცილებულ დღეზე, არაუმეტეს სესხის მთლიანი ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27%-სა ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მისსრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფ“-ი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული და დადგენილი საპროცენტო განაკვეთი და/ან ხელშეკრულების სხვა პირობები საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, ასეთი ცვლილების შემთხვევაში კლიენტის/მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ერთი თვით ადრე კლიენტის მიერ მიწოდებულ საკონტაქტო ინფორმაციაზე დაყრდნობით წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტით ან/და მოკლე ტექსტური შეტყობინებით.

მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფ“-ში ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – <http://nbg.gov.ge/cp> და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406.

საკრედიტო ხელშეკრულება #-----/-----
გაცემული გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება #-----ფარგლებში

ქ. -----

--/--/--წ.

ერთის მხრივ შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდავ“ ს/კ 405152551 შემდგომში „კომპანია“ წარმოდგენილი მისი რწმუნებულის ----- პ/ნ ----- მიერ (მინდობილობა გაცემული შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდავ“-ის ს/კ 405152551 დირექტორის ----- პ/ნ ----- მიერ, დამოწმებული ნოტარიუს ----- მიერ, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი #-----, სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი #-----, რეგისტრაციის თარიღი -----წ) და მეორე მხრივ ----- პ/ნ ----- შემდგომში მსესხებელი/კლიენტი ვდებთ ამ ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე კომპანია იღებს ვალდებულებას მსესხებელზე გასცეს კრედიტი, ხოლო მსესხებელი იღებს ვალდებულებას, დააბრუნოს მიღებული კრედიტი და გადაიხადოს მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი ხელშეკრულების პირობებისა და გრაფიკის (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისად.
- 1.2 ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით მსესხებელი აღიარებს და ადასტურებს, რომ დეტალურად იცნობს და უერთდება წინამდებარე ხელშეკრულების თავსართში მოცემულ ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებს, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 1.3 წინამდებარე საკრედიტო ხელშეკრულება იდება #----- გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. საკრედიტო ხელშეკრულებაზე სრულად ვრცელდება გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობები და ყველა სხვა პირობები, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების ყველა მუხლს. გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების დებულებებსა და ამ ხელშეკრულების დებულებებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ამ ხელშეკრულების დებულებებს.

მუხლი 2. საკრედიტო ხელშეკრულების ძირითადი პირობები

- 2.1 გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების ნომერი: #-----
- 2.2 გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების თარიღი: -----
- 2.3 კრედიტის თანხა და ვალუტა: ----- ლარი (------ ლარი)
- 2.3.1 მსესხებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა : ----- ლარი
- 2.4 კრედიტის თანხიდან მსესხებლის მიერ ხელზე მისაღები თანხა: ----- ლარი
- 2.5 კრედიტის თანხის გატანის სიხშირე და პერიოდულება: ერთჯერადად, წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე;
- 2.6 კრედიტის ვადა: 06-----
- 2.6.1. საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა (მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულების პირობების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში) -----
- 2.7 კრედიტის საპროცენტო განაკვეთი: -----% წლიური
- 2.7.1 კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი - ფიქსირებული
- 2.8 კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: -----% წლიური
- 2.9 ფინანსური ხარჯები, რომელიც გათვალისწინებულია კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში:
- საპროცენტო განაკვეთი: ----% წლიური (----% თვეში)
 - კრედიტის გაცემის საკომისიო: 2.3. პუნქტით განსაზღვრული თანხის ---- (------) პროცენტი კერძოდ ----- ლარი
 - ინფორმაციის გაცემის/დამუშავების საკომისიო = ----- ლარი
 - ადმინისტრაციული ორგანოს მომსახურებისათვის დაწესებული საფასური ----- ლარი
 - სესხის თანხის მსესხებლის საბანკო ანგარიშიდან განაღდების შემთხვევაში საბანკო დაწესებულების საკომისიოს საბაზრო ღირებულება - სესხის თანხის ----%
 - ყოველთვიური შენატანები (ძირითადი თანხა+პროცენტი) = თანდართული გრაფიკის მიხედვით
 - ვადის ბოლოს შენატანი - -----ლარი
- 2.10 კრედიტის გაცემის საკომისიო:-----%

2.11 კრედიტის დაფარვა: თანდართული გრაფიკის შესაბამისად

2.12 ყოველდღიურად დასარიცხი პირგასამტეხლოს ოდენობა: ყოველდღიური პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე - ვადაგადაცილებული/გადასახდელი ძირითადი თანხის -----% და ვადაგადაცილებული საპროცენტო სარგებლის - -----% არაუმეტეს სესხის მთლიანი ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27%-სა. სესხის ვადის გადაცილებისას ვადის გადაცილების სრულ აღმოფხვრამდე ნებისმიერი საკომისიოს, ნებისმიერი ფინანსური ხარჯის (მათ შორის, სესხის საპროცენტო განაკვეთისა და ისეთი ხარჯების, რომლებიც შედის სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში), სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ყოველი ვადის გადაცილებისას ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.

2.13 პირგასამტეხლო ვადაზე ადრე (წინსწრებით) დაფარვისათვის დაანგარიშდება შემდეგი წესით და პირობებით:

2.13.1. კომპანია უფლებამოსილია მის მიერ გაცემული კრედიტის სრული ან ნაწილობრივი რეფინანსირების ან მსესხებლის მიერ საკუთარი სახსრებით კრედიტის წინსწრებით სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში, მსესხებელს დააკისროს და მოსთხოვოს პირგასამტეხლო, კრედიტის წინსწრებით დაფარვის მომენტისათვის ხელშეკრულების დარჩენილი ვადის გათვალისწინებით, შემდეგის ოდენობით:

ა) თუ საკრედიტო ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 2%-ისა;

ბ) თუ საკრედიტო ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 1%-ისა;

გ) თუ საკრედიტო ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0.5%-ისა;

დ) იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე პერიოდი ან კრედიტის რეფინანსირება მთლიანად ან ნაწილობრივ ხდება კომპანიის მიერ გაცემული ახალი კრედიტით ან კრედიტის დაფარვა ხდება კომპანიის მოთხოვნით ან კრედიტის წინსწრებით დაფარვა ან რეფინანსირება ხდება კომპანიის მხრიდან საკრედიტო ხელშეკრულებაში შესატან ცვლილებებზე მსესხებლის/სოლიდარული თავდების/უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის მხრიდან დაუთანხმებლობის მიზეზით - ასეთ შემთხვევაში წინსწრებით დაფარვის საკომისიო შეადგენს 0%-ს.

2.14 მხარეები თანხმდებიან, რომ აღნიშნული საკრედიტო ხელშეკრულების მიზნებისათვის საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველყოფას წარმოადგენს, საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე წარმოქმნილი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გაფორმებული იპოთეკის, გირავნობის ან/და თავდებობის ხელშეკრულებები.

2.15 კრედიტის გაცემის მიზნობრიობა:

● -----

2.16 საკრედიტო ხელშეკრულების ვადის გაგრძელების საკომისიო შეადგენს - 0%

2.17 საკრედიტო ხელშეკრულების დამატებითი პირობები: (არ გააჩნია)

მუხლი 3. მსესხებლის მიერ ვალდებულების შესრულების, საპროცენტო სარგებლის და პირგასამტეხლოს დარიცხვის და გადახდის წესი

3.1 მსესხებელი ვალდებულია, კრედიტი და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი დაფაროს ხელშეკრულების და/ან გრაფიკის პირობების შესაბამისად.

3.2 კრედიტის ძირითადი თანხის და მასზე დარიცხული სარგებლის გადახდა ხდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართში წარმოდგენილი გრაფიკით, რომელიც მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

3.2.1 კრედიტის საშეღავათო პერიოდით დაფარვის შემთხვევაში, საშეღავათო პერიოდის გასვლის შემდეგ შესასრულებელი ვალდებულების წესი და პირობები მათ შორის ვალდებულების შესრულების პერიოდულობა, დარიცხული საპროცენტო სარგებლის ოდენობა და მისი გადახდის წესი მოცემულია საკრედიტო ხელშეკრულების გრაფიკში.

3.2.2 საშეღავათო პერიოდში კრედიტის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში მსესხებელი იხდის სესხის ნარჩენ ძირითად თანხას, საპროცენტო სარგებელს დარიცხულს სესხის თანხის ფაქტობრივად ნასარგებლები დღეების მიხედვით (დარიცხულს სესხის ნარჩენ ძირითად თანხაზე) და სესხის წინსწრებით დაფარვის პირგასამტეხლოს დადგენილს წინამდებარე ხელშეკრულების 2.13 პუნქტის მიხედვით.

3.3 საპროცენტო სარგებელი არის კრედიტით სარგებლობისთვის დარიცხული პროცენტი და იანგარიშება კრედიტით ფაქტობრივად სარგებლობის დღეების შესაბამისად 365 დღეზე გაანგარიშებით.

3.4 იმ შემთხვევაში თუ, ხელშეკრულებით ან/და გრაფიკით განსაზღვრული გადახდის დღე ემთხვევა კომპანიის არასამუშაო ან/და უქმე დღეს, მსესხებელი უფლებამოსილია ამგვარი გადახდა განახორციელოს მომდევნო სამუშაო დღეს.

3.5 მხარეები თანხმდებიან, რომ კრედიტის დაფარვისას ჯერ იფარება პირგასამტეხლო (ამგვარის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ - დარიცხული საპროცენტო სარგებელი და ბოლოს - კრედიტის ძირი თანხა.

3.6 მსესხებლის მიერ ხელშეკრულებით და/ან გრაფიკით განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია მსესხებელს დაარიცხოს პირგასამტეხლო, პირგასამტეხლო დაერიცხება ყოველ ვადაგადაცილებულ ვადალიანებას (კრედიტის ძირს და/ან საპროცენტო სარგებელს), ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2.12-ით პუნქტით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მსესხებელს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისგან.

3.7 მსესხებლის მიერ კრედიტის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტების დროულად დაუბრუნებლობის შემთხვევაში და/ან ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად ხელშეკრულების პირობების დარღვევის შედეგად წარმოშობილი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია ამოქმედოს უზრუნველყოფის ხელშეკრულებების ობიექტებზე თავისი უფლებები. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ გარდა იპოთეკის საგნით უზრუნველყოფილი ქონებისა კომპანიას უფლება აქვს მოითხოვოს დაკმაყოფილება კლიენტის მთელი ქონებიდან ვალდებულების თანხის სრულ დაფარვამდე.

3.8 მხარეთა შეთანხმებით კრედიტის ძირითადი თანხა და/ან დარიცხული პროცენტი შეიძლება დაიფაროს ვადაზე ადრე, მაგრამ ამ შემთხვევაში, მსესხებელი უხდის კომპანიას პირგასამტეხლოს წინამდებარე ხელშეკრულების 2.13 პუნქტში მოცემული წესითა და პირობებით, ადრე დაფარულ თანხაზე გადაანგარიშებით.

3.9 მხარეები თანხმდებიან, რომ კომპანიის ანგარიშზე, კრედიტის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებულ თანხაზე მეტი თანხის შემოტანის შემთხვევაში, ნამეტი თანხა მხოლოდ მაშინ იქნება საკრედიტო ვალდებულების შესასრულებლად წინსწრებით ნაწილობრივ დასაფარად მიმართული, თუ აღნიშნულის თაობაზე იქნება მსესხებლის წერილობითი განცხადება/თანხმობა კრედიტის ვადაზე ადრე ნაწილობრივ დაფარვის შესახებ. სხვა შემთხვევაში მოხდება დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებულ თარიღში თანხის დაფარვა, რის შემდეგაც დარჩენილი ნამეტი თანხა ჩაითვლება მომდევნო გადახდის თარიღის გადასახდელში და მისი დაფარვა განხორციელდება დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებულ შემდგომ თარიღში და ოდენობით.

3.9.1 იმ შემთხვევაში თუ კომპანიის ანგარიშზე შემოსული თანხა საკმარისი იქნება კრედიტის სრულად დასაფარად, ასეთ შემთხვევაში კომპანია უფლებამოსილია შემოსული თანხა მიმართოს კრედიტის სრულად დასაფარად მსესხებლის დამატებითი თანხმობის ან/და განცხადების გარეშე, აღნიშნული პირობა მსესხებლისთვის მისაღებია და წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ეთანხმება მას.

3.10 მსესხებლის მიერ კრედიტის წინსწრებით ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში, მსესხებლის მოთხოვნის შემთხვევაში კომპანია მსესხებელს შესთავაზებს ახალ გრაფიკს შემდეგი ალტერნატივით:

3.10.1 ნარჩენი ძირითადი თანხის გადანაწილება იმავე პერიოდზე ყოველთვიური შენატანის შემცირების გზით; ან

3.10.2 ყოველთვიური შენატანის იმავე ოდენობის პირობებში დარჩენილი პერიოდის შემცირება.

3.10.3 მსესხებელი უფლებამოსილია სესხის ახალი გრაფიკი მიიღოს კომპანიის ნებისმიერ სერვის ცენტრში, აგრეთვე სესხის ნაწილობრივ წინსწრებით დაფარვისას და ახალი გადახდის გრაფიკის საფუძველზე შეცვლილ ყოველთვიურ გადასახდელ თანხის ოდენობაზე მსესხებელი ინფორმაციას მიიღებს ვადამოსული ვალდებულების დადგომამდე მინიმუმ 1 დღით ადრე sms შეტყობინების სახით.

3.11 იმ შემთხვევაში თუ მსესხებელი კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით და თანდართული გრაფიკით ნაკისრ ვალდებულებას, კომპანია უფლებამოსილია მსესხებელს ავტომატურად გაუგრძელოს ხელშეკრულების მოქმედების ვადა (“ავტომატური პროლონგაცია”) იმავე სახელშეკრულებო უფლება-ვალდებულებებით და აღნიშნული არ მოითხოვს დამატებითი ხელშეკრულების გაფორმებას მხარეთა შორის.

მუხლი 4. მსესხებლის განცხადებები და გარანტიები

4.1 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მსესხებელი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

4.1.1 ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროისთვის არის ქმედუნარიანი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეზიდენტი ფიზიკური პირი.

4.1.2 ხელშეკრულების დადების და შესრულებისთვის საჭირო უფლებამოსილების მიზნით მოპოვებული აქვს ყველა აუცილებელი თანხმობა, ნებართვა თუ მინდობილობა.

4.1.3 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია მის (მსესხებლის) მიერ ნებაყოფლობით მეორე მხარის ან სხვა მესამე პირთა მხრიდან მის მიმართ ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის და/ან სხვა რაიმე გარემოების გამოყენების გარეშე.

4.1.4 წინამდებარე ხელშეკრულების დადება და შესრულება არ იწვევს/გამოიწვევს იმ სახელშეკრულებო, სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო), საკანონმდებლო და/ან სხვა ვალდებულებების დარღვევას, რომელთა დაცვაზეც ის პასუხისმგებელია, ამასთან მსესხებელი აცხადებს, რომ ხელშეკრულების დადების მომენტისთვის ის არ მონაწილეობს არცერთ დავაში (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სახით), რითაც საფრთხე ექმნება მის აქტივებს/ქონებას და/ან მის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას.

4.1.5 მისი ქმედება არ არის/არ იქნება მიმართული კომპანიის მოტყუებისკენ. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულების დასადავად და შესასრულებლად, მის მიერ კომპანიისთვის წარდგენილი დოკუმენტი და/ან ინფორმაცია, მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული საიდენტიფიკაციო მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაცია არის უტყუარი, ზუსტი, სრული და ამომწურავი. მსესხებელი აცნობიერებს, რომ ყალბი ინფორმაციის და/ან დოკუმენტაციის მიწოდება კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს დასჯად ქმედებას.

4.1.6 მსესხებელი წერილობით დაუყოვნებლივ აცნობებს კომპანიას ყველა იმ გარემოების შესახებ, რომლებიც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მის განცხადებებს და/ან შესაძლოა გამოიწვიოს აღნიშნული გარანტიების დარღვევა. ამასთან მსესხებელი ვალდებულია იღებს მომხდარი ცვლილებების შესახებ, რომელიც უკავშირდება მის მიერ უკვე მიწოდებულ ინფორმაციას, მათ შორის საკონტაქტო ინფორმაციას, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს კომპანიას აღნიშნული ცვლილების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეტყობინება გაგზავნილად და მიღებულად ჩაითვლება კომპანიისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე და/ან საკონტაქტო ნომერზე და/ან ელექტრონულ ფოსტაზე.

4.2 მსესხებელი აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით თანახმაა, კომპანიისთვის ცნობილ და მის მიერ მიწოდებულ საკონტაქტო ინფორმაციაზე დაყრდნობით მიიღოს კომპანიისგან სარეკლამო/მარკეტინგული და/ან საინფორმაციო ხასიათის შეტყობინებები (მათ შორის ელექტრონულ ფოსტაზე, მოკლე ტექსტური შეტყობინებით მობილური ტელეფონის ნომერზე და ა.შ.). ამასთან მსესხებელი აცხადებს თანხმობას, რომ მის მიერ კომპანიისთვის მიწოდებულ საკონტაქტო ინფორმაციაზე დაყრდნობით მიიღოს ისეთი ტიპის ინფორმაცია, როგორცაა შეტყობინება მხარეთა შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებაში ნებისმიერი სახის ცვლილების განხორციელების თაობაზე, მათ შორის 9.15 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია. მსესხებელი გამოხატავს თანხმობას მის მიერ განაცხადში მითითებულ საკონტაქტო არხებზე, როგორცაა იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი მოხდეს ნებისმიერი ტიპის შეტყობინების გაგზავნა კომპანიის მხრიდან, აღნიშნულ საკონტაქტო არხებიდან ერთ-ერთზე კომპანიის მხრიდან ინფორმაციის გაგზავნა მსესხებლისთვის მისაღება და ჩაითვლება დადგენილი და შეთანხმებული წესით გაგზავნილად.

4.3 ამასთან კომპანია პასუხს არ აგებს მსესხებლის მიერ კომპანიისთვის მიწოდებულ საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინებების სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგებზე.

4.4 მსესხებელი კეთილსინდისიერად, სრულად და ჯეროვნად შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

4.5 მსესხებელი აცნობიერებს და წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ წინამდებარე საკრედიტო ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე კომპანიისგან მიიღო ჯეროვანი განმარტება/ინფორმაცია კრედიტის დაუბრუნებლობის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით, იმის თაობაზე, რომ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მის მიმართ გატარდება საქართველოს კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული იძულებითი ღონისძიებები (მათ შორის დაწყებული იქნება გამარტივებული წარმოება ან/და იძულებითი სააღსრულებო წარმოება (მათ შორის შესაძლოა ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე) და ა.შ.), კერძოდ, შესაძლოა მსესხებლის საკუთრებაში არსებულ უძრავ/მოძრავ ქონებას დაედოს ყადაღა და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს მათი რეალიზაცია, ყადაღა დაედოს მსესხებლის მიმდინარე ანგარიშებს, ამასთან ზემოაღნიშნული ღონისძიების გატარებისთვის მსესხებელს შესაძლოა დაეკისროს დამატებითი ხარჯები. მსესხებელი აცნობიერებს, რომ აღნიშნული იძულებითი ღონისძიებები შესაძლოა გატარდეს თავდებ(ებ)ის და/ან იპოთეკის/გირავნობის საგნის მესაკუთრის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4.6 მსესხებლის აღნიშნული განცხადებები და გარანტიები ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.

4.7 „კომპანიის“ მიერ სესხის თანხის „მსესხებლის“ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის შემთხვევაში, საბანკო ანგარიშზე სესხის თანხის გადარიცხვა შესრულებულად და კრედიტი გაცემულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც თუ მისი მიღება შეფერხდა, „მსესხებელი“-ს საბანკო ანგარიშზე არსებული ნებისმიერი მიზეზით მათ შორის იმ შემთხვევაშიც თუ თანხის მიღება შეფერხდება ან შეუძლებელი გახდება „მსესხებელი“-ს ნებისმიერ კრედიტორის/საგადასახადო ორგანოების მიზეზით, მათ შორის „მსესხებლის“ საბანკო ანგარიშზე არსებული ტექნიკური ხარვეზის, ყადაღის ან/და ნებისმიერი ტიპის შეზღუდვის არსებობის გამო, აგრეთვე ყველა იმ მიზეზით რომელიც დაკავშირებული არ არის „კომპანია“-სთან.

4.7.1 მსესხებელი წინამდებარე საკრედიტო ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მის მიერ სესხის თანხის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის მიზნით წარმოდგენილი საბანკო ანგარიშის რეკვიზიტი წარმოადგენს უტყუარს და ნამდვილს და რომ მსესხებელი წარმოადგენს საბანკო ანგარიშის ერთადერთ კანონიერ, ნამდვილ მესაკუთრეს/მფლობელს, საბანკო ანგარიშზე არ ვრცელდება რაიმე ყადაღა ან/და შეზღუდვა.

4.8. კომპანიას უფლება აქვს, მსესხებლისაგან მიიღოს ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტი როგორც კრედიტის მიზნობრივად გახარჯვის, ისე მსესხებლის ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შესამოწმებლად. მსესხებელი ვალდებულია, შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტები კომპანიას წარუდგინოს მოთხოვნიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

მუხლი 5. საკრედიტო ხელშეკრულების პირობების დარღვევა და შეწყვეტა

5.1 მსესხებლის მხრიდან ქვემოთ მოცემული ნებისმიერი ქმედების განხორციელება წარმოადგენს ხელშეკრულების პირობების მნიშვნელოვან დარღვევას და საკმარის საფუძველს, რომ კომპანიამ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, დაიწყოს უზრუნველყოფის (ან მსესხებლის ნებისმიერი სხვა ქონების) საგანზე იძულებითი აღსრულების მიქცევა და/ან ვადამდე მოსთხოვოს მსესხებელს კრედიტის დაფარვა დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) ერთად.

5.2 კომპანიის მხრიდან მსესხებლის მიმართ კრედიტის და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის და პირგასამტეხლოს (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) დაუყოვნებლივ დაფარვის მოთხოვნის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია შეასრულოს კომპანიის ზემოაღნიშნული მოთხოვნა კომპანიის მიერ მითითებულ ვადებში.

5.3 მხარეები თანხმდებიან, რომ კომპანიას შეუძლია სესხის ვადამდე შეწყვეტა, სესხის შემდგომი ტრანშის ან დამატებითი სესხის გაცემაზე უარის თქმა თუ:

5.3.1 მსესხებელი დაარღვევს ხელშეკრულების ნებისმიერ პირობას (მათ შორის დაირღვევა ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი გადასახდელის გადახდის ვადა, მათ შორის დადგენილი და განსაზღვრული წინამდებარე საკრედიტო ხელშეკრულების გრაფიკით);

5.3.2 მსესხებელი დაარღვევს კრედიტის მიზნობრიობას, რომელიც მოცემულია ხელშეკრულებაში ან/და მსესხებლის მიერ შევსებულ საკრედიტო განაცხადში;

5.3.3 მსესხებელი დაარღვევს მსესხებელსა და კომპანიას შორის დადებულ ნებისმიერ შეთანხმებას და/ან ხელშეკრულებას;

5.3.4 მსესხებლის ნებისმიერი განაცხადი და/ან გარანტია აღმოჩნდება მცდარი და/ან არაზუსტი;

5.3.5 მსესხებლის და/ან მსესხებლის ნებისმიერი თავდების და/ან უზრუნველყოფის ნებისმიერი მესაკუთრის მიმართ დაიწყება გადახდისუნარობის, გაკოტრების, ლიკვიდაციის და/ან მსგავსი ხასიათის საქმის წარმოება;

5.3.6 განადგურდება, დაზიანდება, მნიშვნელოვნად შეუმცირდება ღირებულება უზრუნველყოფას და/ან საფრთხე დაემუქრება კომპანიის უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნები უზრუნველყოფის საშუალებით;

5.3.7 მსესხებელი, მსესხებლის რომელიმე თავდები და/ან უზრუნველყოფის ნებისმიერი მესაკუთრე არ ასრულებს შესაბამისი თავდებობის ხელშეკრულებით ან ნებისმიერი სხვა შემადგენელი ხელშეკრულებით ნაკისრ რომელიმე ვალდებულებას;

5.3.8 კომპანიისგან დამოუკიდებელი მიზეზებით შეწყდება/გაუქმდება, განადგურდება, დაზიანდება რომელიმე უზრუნველყოფა, მნიშვნელოვნად შეუმცირდება ღირებულება უზრუნველყოფას და/ან საფრთხე დაემუქრება კომპანიის უფლებას დაიკმაყოფილოს მოთხოვნები უზრუნველყოფის საშუალებით;

5.3.9 გაუარესდება მსესხებლის, მისი ნებისმიერი თავდების და/ან უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის ფინანსური მდგომარეობა;

5.4 წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს მსესხებლის მიერ ვალდებულების ჯეროვნად, სრულად დათქმულ დროსა და დათქმული პირობებით შესრულების შემთხვევაში ან ვალდებულების ვადაზე ადრე/წინსწრებით შესრულების შემთხვევაში ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

5.5 წინამდებარე ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედება (მოქმედების ფარგლები)

6.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს კომპანიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტამდე ან/და მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

6.2 წინამდებარე ხელშეკრულება, მისი ვალდებულებებით და სარგოებით ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა შესაბამის მემკვიდრეებზე/სამართალმემკვიდრეებზე და უფლებამონაცვლეებზე.

6.3 მსესხებელს უფლება არ აქვს გადასცეს ან გადააბაროს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება კომპანიის წერილობითი თანხმობის გარეშე, ამასთან ეს დებულება არ გულისხმობს დათქმას, რომ მსესხებელმა პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულებები და არ გამოიციხავს კომპანიის უფლებას, მიიღოს მესამე პირებისგან შემოთავაზებული შესრულება და ამ მიზნებისთვის მსესხებელი აცხადებს თანხმობას, რომ კომპანიამ მესამე პირს გადასცეს ინფორმაცია მსესხებლის მიმდინარე დავალიანებაზე.

6.4 კომპანიას უფლება აქვს მსესხებლის თანხმობის გარეშე, მესამე პირს მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს ან/და უფლებრივად დატვირთოს წინამდებარე ხელშეკრულებით და/ან შემადგენელი ხელშეკრულებით შეძენილი ნებისმიერი უფლება.

6.5 მსესხებელი ცნობად იღებს და ეთანხმება, რომ კომპანიის ყველა უფლება ამ საკრედიტო ხელშეკრულების და მისი უზრუნველყოფის ხელშეკრულებების საფუძველზე, შეიძლება დაგირავდეს კომპანიის მიერ მესამე პირის სასარგებლოდ („უზრუნველყოფილი კრედიტორი“), რათა ასეთი გირავნობით უზრუნველყოფილ იქნას კომპანიის გარკვეული ვალდებულებების შესრულება უზრუნველყოფილი კრედიტორის სასარგებლოდ. შესაბამისად, მსესხებელი უპირობოდ ეთანხმება, რომ უზრუნველყოფილი კრედიტორი შეიძლება ჩაენაცვლოს კომპანიას ამ საკრედიტო ხელშეკრულებაში და მისი უზრუნველყოფის ხელშეკრულებებში, და უზრუნველყოფილი კრედიტორი იმოქმედებს კომპანიის ნაცვლად, თუ დადგება რაიმე გარემოება, რომლის თაობაზეც არიან შეთანხმებულები კომპანია და უზრუნველყოფილი კრედიტორი;

მუხლი 7. კონფიდენციალურობა

7.1 მსესხებელი თანახმაა, რომ კომპანიის მიერ, მხარეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში, მოხდეს მისი პერსონალური მონაცემების, მათ შორის ფოტო გადაღება/აღბეჭდვა (ასეთის საჭიროების არსებობის შემთხვევაში), დამუშავება, შენახვა, მათი დაცვა და გადაცემა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ნებისმიერი რეესტრიდან და/ან სხვა იდენტური ან მსგავსი ფუნქციის მქონე ნებისმიერი დაწესებულებიდან (კერძო ან საჯარო) მოხდეს ინფორმაციის გამოთხოვა, მიღება და შენახვა მათ შორის პერსონალური ინფორმაციის და საიდენტიფიკაციო დოკუმენტების. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის, გამსესხებელი მიერ მისი კანონიერი ინტერესის დაცვის, მომსახურების გაწევის (განაცხადის განხილვის, სესხის ლიმიტის დამტკიცების/ გაზრდის ან/და სესხის გაცემის, სახელშეკრულებო ურთიერთობაში სათანადოდ იდენტიფიცირებულ მხარესთან შესვლის მიზნით), მის მიმართ არსებული ვალდებულებების აღრიცხვის და შესრულების უზრუნველყოფის მიზნებისთვის მათ შორის, მსესხებლის მიერ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისას მსესხებლის მოძიებისა და სესხის გადახდევინების მიზნით (მათ შორის სასამართლოსთვის/გამარტივებული წარმოებისთვის/აღსრულების ეროვნულ ბიუროსთვის მიმართვის გზით), ამასთან მსესხებელი ანიჭებს უფლებამოსილებას კომპანიას დამუშავებული პერსონალური მონაცემები მათ შორის ინფორმაცია სასესხო ურთიერთობის თაობაზე მიაწოდოს გარე აუდიტორულ კომპანიას კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების მიზნით.

7.2 მსესხებელი თანახმაა, რომ კომპანიამ სრული და ყველანაირი ინფორმაცია მისი და მის მიერ აღებული სესხის შესახებ: პირადი მონაცემები, მისამართი, სესხის მოცულობა, გაცემის თარიღი, სესხის ვადა, საპროცენტო განაკვეთი, სესხის გადახდის თარიღები, გადახდილი თანხა, უზრუნველყოფა, ასევე ვადაგადაცილებული საპროცენტო სარგებელი, მომსახურების საკომისიო გადასახდელების სრულად, ვადაგადაცილებული ძირითადი თანხა, დარიცხული პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ზემო აღნიშნულ სესხთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი ინფორმაცია მიაწოდოს ნებისმიერ მონაცემთა ბაზას, რომლის მიზანია საქართველოს ფინანსური სექტორის გამჭვირვალობა, სუბიექტის გადახდისუნარიანობის შეფასება, ვალის მართვა ან სხვა. მესამე პირებისთვის პერსონალური მონაცემების გადაცემა შესაძლებელია წინამდებარე სესხის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების რეალიზაციისა და არსებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, მათ შორის, მსესხებლის მიერ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისას მსესხებლის მოძიებისა და სესხის გადახდევინების მიზნით (მათ შორის, სასამართლოსთვის მიმართვის გზით).

7.3 მსესხებელი უფლებამოსილებას ანიჭებს კომპანიას მსესხებელთან და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია (პოზიტიური ან/და ნეგატიური, ასევე პერსონალური მონაცემები) გადასცეს სს „კრედიტინფო საქართველოს“ (რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეესტრის ნომერი #06/5-51), ან/და მსგავსი ფუნქციის მქონე ნებისმიერ დაწესებულებას მონაცემთა ბაზაში შესატანად, რაც იწვევს მესაკუთრის აღრიცხვას სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში, რის საფუძველზეც ეს ინფორმაცია გახდება ხელმისაწვდომი მესამე პირისათვის.

7.3.1 გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე სესხის მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, მსესხებლის მიერ სესხთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ხოლო სასამართლოს დავის არსებობის შემთხვევაში სასამართლო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს, აგრეთვე მსესხებლის მსხვილი აქციონერებისა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების სახელებსა და საიდენტიფიკაციო მონაცემებს.

7.3.2 მსესხებელი ანიჭებს კომპანიას უპირობო უფლებას ნებისმიერ დროს, მსესხებლის დამატებით თანხმობის გარეშე გადაამოწმოს და მიიღოს მსესხებლის შესახებ მონაცემები (საკრედიტო ისტორია, საკრედიტო რეპორტი, საკრედიტო სქორი; მოთხოვნების რაოდენობა, ზოგადი ინფორმაცია კონტრაქტების შესახებ, მასთან დაკავშირებული მონაცემები, მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული პერსონალური მონაცემები, მათ შორის: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი და სხვა მონაცემები სს კრედიტინფო საქართველოს (რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წლის 14 თებერვალს, რეგისტრაციის #06/5-51) მონაცემთა ბაზიდან, სპეციალური შეთავაზებების გასაკეთებლად, პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის, წინასწარ დამტკიცებული ლიმიტების გამოსათვლელად, სტატისტიკის, სესხის გაცემის, მსესხებლის გადამხდელუნარიანობის შეფასების (მათ შორის ვადაგადაცილების პერიოდში) და გამსესხებლის კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნებისთვის.

7.4 მსესხებელი ანიჭებს კომპანიას უპირობო უფლებას მიაწოდოს უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრეს და/ან თავდებ პირს ინფორმაცია მსესხებლის ვალდებულებებისა და მათი შესრულების შესახებ.

7.5 კომპანია უფლებამოსილია მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, აგრეთვე შემადგენელი ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემდეგ კომპანიის უფლებების განხორციელების მიზნით მიაწოდოს ინფორმაცია მესამე პირებს.

7.6 ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობით. შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე. კომპანიას შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც (მათ შორის ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო და სხვა).

7.7 კომპანიის მიერ info@lendup.ge ელექტრონული ფოსტიდან, წინამდებარე ხელშეკრულების რეკვიზიტებში მითითებულ კლიენტის ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის განხორციელებულ წერილობით შეტყობინებად. ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინება არ საჭიროებს კლიენტის მხრიდან მისი მიღების დადასტურებას და ასეთი შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება.

7.8 მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კომპანია უფლებამოსილია აღნიშნულის თაობაზე ნებისმიერი საშუალებით გაავრცელოს ინფორმაცია, ამასთან კომპანიის მიერ ხელშეკრულების დარღვევის მთლიანად ან ნაწილობრივ მხედველობაში მიუღებლობა ან/და ამ დარღვევით მინიჭებული უფლებამოსილების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე.

7.9 კლიენტი ცნობად იღებს კომპანიისგან და გამოხატავს თანხმობას, რომ მისი პერსონალური მონაცემები კომპანიის მიერ შესაძლოა განთავსდეს საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ სერვერზე იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელიც შედის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ბრძანებით დადგენილ ქვეყნების ნუსხაში („თეთრი სია“), სადაც უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები.

7.10 მხარეთა შორის კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის მსესხებლის ტელეფონის ნომერზე, საკონტაქტო პირებთან დაკავშირებით, მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით, ელ. ფოსტის საშუალებით, საცხოვრებელ/იურიდიულ მისამართზე შეტყობინების გაგზავნის/დატოვების გზით. ეფექტური უკუკავშირის მიღების ან/და მსესხებელთან კავშირის დამყარების მიზნით მსესხებლისთვის შეტყობინების გაგზავნა შესაძლოა განხორციელდეს მსესხებლის სამუშაო ადგილზე (მათ შორის მსესხებლის სამუშაო ადგილის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება გამარტივებული წარმოების ეტაპზე აღსრულების ეროვნულ ბიუროს შეტყობინების გაგზავნის მიზნით). მსესხებელთან მოლაპარაკების წარმოების და საკუთარი კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე, გამსესხებელი უფლებამოსილია მოიძიოს სხვა ალტერნატიული საკონტაქტო მონაცემები.

მუხლი 8. დავების გადაწყვეტის წესი

8.1 მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში წინამდებარე და მის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა, მათ შორის დაკავშირებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობასთან, მოშლასთან, შეწყვეტასთან და ბათილობასთან, განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს სასამართლოს მიერ.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1¹ ნაწილის შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავასთან დაკავშირებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეულ იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

8.3 წინამდებარე საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულების ნოტარიული წესით დამოწმების შემთხვევაში შესაძლოა აღსრულება განხორციელდეს ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, ხოლო გირავნობით უზრუნველყოფილი სესხის შემთხვევაში შსს-ს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული გირავნობის მოწმობის საფუძველზე, აგრეთვე კომპანია უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ საქმე აწარმოოს გამარტივებული წარმოების წესით აღსრულების ეროვნულ ბიუროში.

მუხლი 9. ზოგადი დებულებები

9.1 მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით.

9.2 ხელშეკრულების ყველა დამატება და ცვლილება ძალაშია, თუ იგი შესრულებულია წინამდებარე ხელშეკრულების ფორმის დაცვით.

9.3 საკითხები, რომელიც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

9.4 მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ადგილია კომპანიის იურიდიული მისამართი.

9.5 წინამდებარე ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ასეთი უფლების უარყოფას.

9.6 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის, პუნქტის, ქვეპუნქტის მოქმედების შეწყვეტა ან ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა მუხლის, პუნქტის, ქვეპუნქტის მოქმედების შეწყვეტას ან ბათილად ცნობას.

9.7 ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭა მხარეს მეორე მხარის მიერ ამ ხელშეკრულების და/ან კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითია და დაემატება ხელშეკრულებით და/ან კანონმდებლობით მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.

9.8 მსესხებელი ადასტურებს, რომ კომპანიისგან მიიღო ჯეროვანი განმარტება კომპანიის ვალდებულებაზე მსესხებლის მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს საკრედიტო ხელშეკრულების ნიმუშები მატერიალური ან ელექტრონული ფორმით, მათ შორის მისთვის ხელმისაწვდომი იყო და ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა ხელშეკრულების ნიმუშებს მსესხებლისთვის შეთავაზებული კონკრეტული პირობებით.

9.9 მსესხებელი წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ კომპანიისგან ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე მიიღო საკრედიტო პროდუქტების პირობების შესახებ უტყუარი, გასაგები და გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი, კომპანიისთვის წინასწარ ცნობილი და მის ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია ყველა არსებულ რისკთან დაკავშირებით რაც თან ახლავს საკრედიტო პროდუქტით სარგებლობას.

9.10 მსესხებელი წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ კომპანიისგან ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე მიიღო ჯეროვანი და სრულყოფილი ინფორმაცია ყველა იმ ფინანსურ ხარჯებთან დაკავშირებით, რაც დაკავშირებულია საკრედიტო პროდუქტის მიღებასთან, შენარჩუნებასთან ან/და საკრედიტო პროდუქტით სარგებლობის დასრულებისთვის, რასაც ეთანხმება და არ აქვს პრეტენზია.

9.11 მსესხებელი თანხმობას აცხადებს და აცნობიერებს, რომ საკრედიტო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული იპოთეკის ან/და გირავნობის, თავდებობის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია თავდებისთვის, გირავნობის ან/და იპოთეკის საგნის მესაკუთრისთვის, კანონით გათვალისწინებული წესით ხელმისაწვდომი გახადოს კლიენტთან გაფორმებული სესხის ხელშეკრულების თავსართი, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში საკრედიტო ხელშეკრულების ასლები, იმავე ფორმით რა ფორმითაც გაფორმებულია მსესხებელთან.

9.12 მსესხებელი ადასტურებს, რომ კომპანიის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე მისთვის გაცნობილი იქნა გამჟღავნების ტექსტი, რომელიც მის მიერ წაკითხული და გაცნობიერებული იქნა სრულად.

9.13 მსესხებელი ადასტურებს რომ კომპანიის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე მიიღო ჯეროვანი განმარტება/ინფორმაცია სავალუტო რისკებთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში თუ მას (მსესხებელს) შემოსავალი კრედიტის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში აქვს ან/და ექნება.

9.14 მსესხებლის მიერ კრედიტის ვადაგადაცილების ან/და სხვა ნებისმიერი ტიპის დავალიანების წარმოშობის ან/და ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შეჩერების/დროებით შეწყვეტის შემთხვევაში, კომპანია მსესხებელს, სოლიდარულ თავდებას ან/და გირავნობის/იპოთეკის საგნის მესაკუთრეს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ზემოაღნიშნული გარემოების დადგომიდან არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღის ვადაში შეატყობინებს ზემოაღნიშნული გარემოების დადგომის შესახებ, მისთვის (კომპანიისთვის) მსესხებლისა ან/და სოლიდარული თავდებას მიერ მიწოდებულ საკონტაქტო ინფორმაციაზე დაყრდნობით, წერილობით, ან/და ელექტრონულ იმეილის გამოყენებით ან/და ტელეფონით მოკლე ტექსტური შეტყობინებით. კომპანია პასუხს არ აგებს ვალდებულების დარღვევისთვის, თუ ზემოაღნიშნული ინფორმაციის მიწოდება ვერ ხერხდება ადრესატის ბრალეულობით და/ან ადრესატმა შეიცვალა საკონტაქტო ინფორმაცია და ამის შესახებ არ უცნობებია კომპანიისთვის.

9.15 კომპანია უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს საკრედიტო ხელშეკრულებით და/ან მის შემადგენელი ხელშეკრულებით/შეთანხმებით განსაზღვრული და დადგენილი საპროცენტო განაკვეთი და/ან ხელშეკრულების სხვა მნიშვნელოვანი პირობები, საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, ასეთი ცვლილების შემთხვევაში მსესხებლის ინფორმირება მოხდება წინასწარ ორი თვით ადრე მსესხებლის მიერ მიწოდებულ საკონტაქტო ინფორმაციაზე დაყრდნობით, წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტით ან/და მოკლე ტექსტური შეტყობინებით, მსესხებელი ვალდებულია ინფორმაციის მიღებიდან 30 დღის ვადაში წერილობით აცნობოს უარი კომპანიას განსახორციელებელ ცვლილების თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ მსესხებელი ეთანხმება, იზიარებს და მისთვის მისაღებია განსახორციელებელი ცვლილებები, კომპანია არ აგებს პასუხს ამ პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობისთვის, თუ მსესხებელთან დაკავშირება/მისთვის ინფორმაციის მიწოდება ვერ ხერხდება მსესხებლის ბრალეულობით ან/და ადრესატის მიერ საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების გამო და/ან შეიცვალა უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრე და აღნიშნულის შესახებ მსესხებელს და/ან ადრესატს არ უცნობებია კომპანიისთვის, ასეთ შემთხვევაში მსესხებელი დადგენილი წესით ინფორმირებულად ჩაითვლება და განსახორციელებელი ცვლილება შევა ძალაში.

9.15.1 იმ შემთხვევაში თუ მსესხებლისთვის მიუღებელია განსახორციელებელი ცვლილება და მასზე წერილობით აცხადებს უარს 9.15 პუნქტით დადგენილი წესით, ასეთ შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია წინსწრებით სრულად დაფაროს სასესხო ვალდებულება დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად სესხის წინსწრებით დაფარვის პირგასამტეხლოს გადახდის გარეშე წერილობითი უარის დაფიქსირებიდან ერთი კვირის ვადაში.

9.16 მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე საკრედიტო ხელშეკრულებაში და/ან მის შემადგენელ ხელშეკრულებაში/შეთანხმებაში ისეთი ცვლილების განხორციელება, რომლითაც იცვლება საკრედიტო ხელშეკრულების და/ან მის შემადგენელი ხელშეკრულების/შეთანხმების პირობები მსესხებლის სასარგებლოდ, ასეთი ცვლილების შესახებ კომპანია არ არის ვალდებული წინასწარ აცნობოს მსესხებელს.

9.17 ერთზე მეტი მიმდინარე დავალიანების არსებობის შემთხვევაში, როდესაც კლიენტის სახელზე არსებული თანხა არ არის საკმარისი აღნიშნული ვალდებულების სრულად შესასრულებლად, კლიენტი უფლებამოსილია ასეთი შემთხვევის დადგომის დღეს ამავე სამუშაო დღის დასრულებამდე განახორციელოს ვიზიტი კომპანიის ნებისმიერ სერვის ცენტრში და წერილობითი ფორმით აირჩიოს ერთზე მეტი ვადადამოსული/ვადაგადაცილებული ვალდებულების დაფარვის რიგითობა.

9.17.1 იმ შემთხვევაში თუ კლიენტი არ განახორციელებს 9.17 პუნქტით გათვალისწინებულ ქმედებას, კომპანია პირველ რიგში დაფარავს ყველა სესხზე დარიცხულ პირგასამტეხლოს (ან ნებისმიერ სხვა ხარჯს ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ საპროცენტო სარგებელს და შემდეგ სესხის ძირ თანხას, აღნიშნული პრინციპით ვალდებულების დაფარვის დროს დასაფარ ვალდებულებებს შორის რიგითობა (მაგ. თუ მსესხებლის ბალანსზე არსებული თანხა საკმარისი არ არის ყველა სესხზე დარიცხული პირგასამტეხლოს სრულად დასაფარად) განისაზღვრება და პირველ რიგში დაიფარება იმ სესხზე არსებული ვალდებულება რომელზეც ფიქსირდება ყველაზე დიდი პერიოდის ვადაგადაცილება, იმ შემთხვევაში თუ რამდენიმე ვალდებულებაზე ფიქსირდება თანაბარი პერიოდის ვადაგადაცილება (მაგ.: ყველა სესხზე ფიქსირდება 10 დღიანი ვადაგადაცილება), ასეთ დროს დასაფარ ვალდებულებებს შორის რიგითობა განისაზღვრება სესხის გაცემის თარიღის მიხედვით და პირველ რიგში დაიფარება ყველაზე ადრე გაცემულ სესხზე არსებული ვალდებულება (დაფარვის ეს წესი ვრცელდება პირგასამტეხლოზე, საპროცენტო სარგებელზე და სესხის ძირ თანხაზე), კომპანია უფლებამოსილია ვალდებულების დაფარვის თაობაზე მიიღოს წინამდებარე პუნქტით დადგენილი წესისგან განსხვავებული გადაწყვეტილება.

9.18 მსესხებელს/მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია კომპანიაში სერვის ცენტრების მეშვეობით ხარისხის მართვის ოფიცერთან, პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია, ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. პრეტენზიის სტანდარტული წერილობითი ფორმის გამოყენების შემთხვევაში, პრეტენზიის სტანდარტული წერილობითი ფორმის ნიმუშს მსესხებელი/მომხმარებელი მიიღებს კომპანიის სერვის ცენტრებში. პრეტენზიის დადგენილი წესით (წერილობითი ფორმით) წარდგენიდან 1 თვის ვადაში, კომპანია მსესხებელს/მომხმარებელს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით და ფორმით აცნობებს პრეტენზიის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, პრეტენზიასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება, მათ შორის პრეტენზიის განხილვის პროცედურების შესახებ მსესხებელს/მომხმარებელს აგრეთვე შეუძლია კომპანიის ვებ-გვერდზე, რომლის მისამართია www.lendup.ge ან/და ტელეფონის ნომერზე 032 2500005

9.19 იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტ შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფ“-ში ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ: შპს

„მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფ“-ი არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განსხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გავატრების შემთხვევაში, თქვენ შესაძლოა ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა.

9.20 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, ერთი ინახება კომპანიაში, მეორე – მსესხებელთან.

9.21 შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფ“-ის ზედამხედველ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის საკონტაქტო მონაცემებია: მის.: თბილისი, სანაპიროს ქუჩა #2, ტელ.: 032 2 406 406

მუხლი 10. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

“კომპანია”

“მსესხებელი/კლიენტი”

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფ“
საიდენტიფიკაციო კოდი: 405152551
იურ. მის.: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვ. დოლიძის ქ., № 46 / ბალანჩივაძეების ქ., № 41
ტელეფონის ნომერი: (032) 2500005

პირადი ნომერი -----
პ/მ გამცემი ორგანო და გაცემის თარიღი: -----
რეგისტრ. მისამართი: -----
ფაქტ. მისამართი: -----

პირადი ნომერი: -----

ტელეფონის ნომერი: -----

ელ.ფოსტა: -----

რწმუნებული

_____/-----/

_____/-----/